

Lactoflorene® ცნობ
კომპლექსური ფორმულა საშარდე გზების ინფექციებთან ბრძოლისათვის

კომპლექსური ფორმულა საშარდე გზების ინფექციებთან ბრძოლისათვის საშარდე გზების ინფექციები - დაავადებების გავრცელებული ჯგუფია, რომელიც ანატომიური თავისებურებების გამო ქალებში უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე მამაკაცებში. ცისტეტი — ინფექციით გამოწვეული შარდის ბუშტის ანთებაა, რომელიც ყველაზე ხშირად გავრცელებული საშარდე გზების ინფექციაა. ქალების დაახლოებით 50%-ს ცხოვრებაში ერთხელ მაინც აწუხებს ცისტეტი, ხოლო მათგან 30%-ს დაავადება იმავე წელს უმეორდება.

ხშირ შემთხვევაში ინფექციას იწვევს ბაქტერია E. Coli, რომელიც ბინადრობს ნაწლავებში და მიკროფლორის დარღვევის შემთხვევაში შესაძლოა მიაღწიოს შარდის ბუშტამდე. საშარდე გზების ინფექციების დროს, როგორც წესი, ინიშნება ანტიბიოტიკები, რომლებიც ხშირად იწვევენ დისბაქტერიოზს, რაც თავის მხრივ შეიძლება გახდეს დაავადების რეციდივის მიზეზი. **Lactoflorene® ცნობ** კომპლექსური მიდგომა საშარდე გზების ინფექციასთან ბრძოლისათვის იძლევა პრობლემაზე სისტემური ზემოქმედება მოხდეს, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მისი განმეორების ალბათობას.

Lactoflorene® ცნობ გამოდის ინოვაციური შეფუთვით — ორკამერიანი პაკეტებით T-WIN. თითოეული პაკეტი გაყოფილია ორ ნაწილად (კამერად) A და B. A კამერაში მოთავსებულია რძემჟავა ბაქტერიები. B კამერაში მოთავსებულია შტომის ექსტრაქტი და D-მანოზა. ეს უზრუნველყოფს კომპონენტებს შორის ურთიერთქმედების თავიდან აცილებას პროდუქტის გამოყენებამდე და მათი თვისებების ოპტიმალურ შენარჩუნებას.

თვისებები

ბიოლოგიურად აქტიური საკვები დანამატი **Lactoflorene® ცნობ** — კომპლექსური ფორმულაა ცისტეტიდან საბრძოლველად, რომლის შემადგენლობაში შედის პრობიოტიკები, მცენარეული ექსტრაქტები და D-მანოზა. ეს კომპონენტები ხელს უწყობენ შარდის დროს ტკივილისა და წვის შეგრძნების შემცირებას, ასევე საშარდე გზების ინფექციების რისკისა და მათი გამოვლინებებით გამოწვეული დისკომფორტის შემცირებასაც.

Lactoflorene® ცნობ მოქმედებს ინფექციის გამომწვევ მიზეზზე — დისბაქტერიოზზე, ხელს უწყობს ინფექციის გამომწვევების გამოდევნას და ზრუნავს მთელი სისტემის ჯანმრთელობაზე. ცოცხალი რძემჟავა ბაქტერიები თავისი პრობიოტიკური მოქმედებით ეხმარებიან ნაწლავის ფლორის ბალანსის აღდგენას. შტომის ექსტრაქტი, რომელიც მდიდარია პროანტიციანიდინებით, ხელს უწყობს შარდგამომყოფი სისტემის სწორ ფუნქციონირებას. D-მანოზა — არის არცის ხისგან მიღებული მარტივი შაქარი, რომელიც ნელა შეიწოვება, აღწევს თირკმელბა და შარდის ბუშტს, სადაც ბოჭავს ინფექციის გამომწვევ E. Coli ბაქტერიებს და ხელს უწყობს მათ გამოდევნას შარდთან ერთად. ამგვარად, **Lactoflorene® ცნობ** შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც საშარდე გზების დაავადებების დროს, ასევე მათი განვითარების რისკის შესამცირებლად.

გამოყენების სფერო

როგორც ბიოლოგიურად აქტიური საკვები დანამატი — რძემჟავა ბაქტერიების და პროანტიციანიდინების წყარო, რომლებიც აუცილებელია:

- ცისტეტი დროს;



- საშარდე გზების ქრონიკული ინფექციების დროს;
- დიზურიის (შარდის დარღვევა) დროს;
- ანტიბიოტიკების მიღებისას;
- საშარდე გზების ინფექციების განვითარების რისკის შესამცირებლად.

უკუჩვენებები

საკვები დანამატის კომპონენტების მიმართ ინდივიდუალური აუტანლობა. გამოყენებამდე რეკომენდებულია ექიმთან კონსულტაცია.

მიღების წესი და დოზირება

პროფილაქტიკისთვის და რისკების შესამცირებლად მოზრდილებში რეკომენდირებულია 1 საშე-პაკეტის მიღება დღეში (მაქსიმუმ 3 პაკეტი დღეში). სასურველია საღამოს ძირითადი კვების შემდეგ, ან დილით კვებამდე, დაცლილი შარდის ბუშტით. გახსენით T-WIN პაკეტის ორივე ნაწილი ერთ ჭიქს წყალში (180 მლ) და დალიეთ მომზადებისთანავე. კურსის ხანგრძლივობა 10-30 დღეა. საჭიროების შემთხვევაში კურსის გაგრძელება შესაძლებელია.

საშარდე გზების ინფექციის პირველი სიმპტომების გამოვლენისას: პირველი და მეორე დღე - 3 საშე-პაკეტი დღეში; მესამე და მეოთხე დღე - 2 საშე-პაკეტი დღეში; მეხუთე დღიდან: 1 საშე-პაკეტი დღეში. აუცილებლად გაიარეთ კონსულტაცია ექიმთან.

ორსულობა და ლაქტაცია

ორსულება და მეძუძურმა ქალებმა პროდუქტი უნდა მიიღონ ექიმის რეკომენდაციით და მისი მეთვალყურეობის ქვეშ.

განსაკუთრებული მითითებები და უსაფრთხოების ზომები

- ბიოლოგიურად აქტიური დანამატები სრულად ვერ შევცვლის ჯანსაღ, ბალანსირებულ დიეტასა და ცხოვრების ჯანსაღ წესს.

- არ გადააჭარბოთ რეკომენდებულ სადღეღამისო დოზას.

შემადგენლობა T-WIN საშე, კამერა A (პრობიოტიკები): მალტოდექსტრინი; დამატკობელი სორბიტი; ლაქტობაქტერიები Lactobacillus paracasei LC11 P30020; შენებების სანინააღმდეგო აგენტი კრემნიუმის დიოქსიდი.

T-WIN საშე, კამერა B (შტომი + D-მანოზა): D-მანოზა; მალტოდექსტრინი; დამატკობელი სორბიტი; მოცვის წვენი მშრალი კონცენტრატი; მუავიანობის რეგულატორი ლიმონმჟავა; შტომის კენკრის მშრალი ექსტრაქტი; ყოლოს ნატურალური არომატიზატორი; ტყის კენკრის ნატურალური არომატიზატორი; შეკუმშვის სანინააღმდეგო აგენტი კრემნიუმის დიოქსიდი; ნითელი ქარხლის ფხვნილი; დამატკობელი სუკრალოზა. შეიცავს დამატკობელს.

მოქმედი კომპონენტები	1 ორკამერიანი პაკეტი T-WIN
Lactobacillus paracasei LC11	1 x 10 კნე*
შტომის მშრალი ექსტრაქტი (Cranpure™)	126,316 მგ
მათ შორის პროანტიციანიდინები	36 მგ**
D-მანოზა	1000 მგ

*კნე — კოლონიის წარმომქმნელი ერთეული (სციოცხლისუნარიანი მიკროორგანიზმების რაოდენობის მარკინგული). **დღური მოხმარების ადეკვატური დონის 36% "სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ ზედაზღვევლობას (კონსტროლს) დაქვემდებარებული საქონლის ერთიანი სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური და ჰიგიენური მოთხოვნების" შესაბამისად (თავი II, განყოფილება 1, დანართი №5).



ვარგისიანობა და შენახვის პირობები 2 წელი წარმოების თარიღიდან (მითითებულია შეფუთვაზე). შეინახეთ მშრალ, ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას, არაუმეტეს +25°C ტემპერატურაზე.

გამოშვების ფორმა

ფხვნილი 4 გ-იან (1,5 გ + 2,5 გ) ორკამერიანი T-WIN საშე-პაკეტებში. შეფუთვაშია 20 პაკეტი, ნეტო მასა — 80 გ.

მწარმოებელი

MONTEFARMACO OTC S.p.A., VIA IV NOVEMBRE, 92, 20021 BOLLATE (MI), იტალია. პროდუქტის დამზადების საქმიანობის განხორციელების მისამართი: Biofarma S.r.l., Via Castelliere, 2, 33036 Mereto di Tomba (Udine), იტალია.

იმპორტიორი, სასუხისმგებელი ტერიტორიაზე პრეტენზიების მიღებაზე, შპს "ფინ ჯიუნ", საქართველო, ქ.თბილისი, სამგორის რაიონი, იუმაშვილი 11. ტელ: + 995 577 150 639

ბიოლოგიურად აქტიური დანამატი. არ წარმოადგენს სამკურნალო საშუალებას. არ უნდა იქნას გამოყენებული სრულფასოვანი კვების რაციონის შემცვლელად.